სტაჟირების პროგრამა

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის კომერციულ და ფინანსურ დირექტორატებში (ოთხი სტაჟიორი)

მიზნობრივი აუდიტორია - თავისუფალი უნივერსიტეტი (ESM), კავკასიის ბიზნეს-სკოლა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

დავალება - ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის თემაზე ბიზნეს-გეგმის შექმნა და შესაბამისი პრეზენტაციის მომზადება;

დავალების შესრულების პერიოდი - ერთი თვე; ბიზნეს-გეგმის ჩაბარების ბოლო ვადა - 7 მაისი.

დავალების შესრულების პირობა - ბიზნეს-გეგმის მომზადება შესაძლებელია ინდივიდუალურადაც და ჯგუფებშიც, არაუმეტეს სამი კაცის შემადგენლობით;

შენიშვნა: კონკურსში მონაწილების უფლება ექნებათ უმაღლესი სასწავლებლების მეოთხე კურსის სტუდენტებს.

შეფასების კრიტერიუმები:

I ეტაპი - სტრუქტურულად სრულყოფილი და შინაარსობლივად გამართული ბიზნეს გეგმა;

II ეტაპი - ბიზნეს-გეგმის პრეზენტაციის დროს გამარულ დისკუსიაში გამოვლენილი ორატორული შესაძლებლობები, სხარტი და ლოგიკური აზროვნება;

შენიშვნა: გუნდის შემთხვევაში. მეორე ეტაპზე გასული გუნდის წევრებს უფლება ექნებათ ბიზნეს-გეგმა წარმოადგინონ თავების მიხედვით, რადგან ამ ეტაპზე შერჩევის კრიტერიუმი იქნება ინდივიდუალური. თანამშრომლები შეიძლება შეირჩეს სხვადასხვა გუნდიდან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თამარ შოშიაშვილი
კორპორაციის PR მენეჯერი
t.shoshiashvili@gogc.ge
577 37 00 09

პროგრამის განხორციელების ეტაპები

- უმაღლესი სასწავლებლების ადმინისტრაციებთან შეხვედრა და პროგრამის პირობების გაცნობა;
- სტუდენტებთან შეხვედრა, პროგრამის პირობების გაცნობა და პრეზენტაცია კორპორაციის საქმიანობის შესახებ;
- დავალების ერთთვიან პერიოდში კონკურსში მონაწილე გუნდებთან პერიოდული შეხვედრა-კონსულტაციები (საჭიროების შემთხვევაში და არაუმეტეს ორი შეხვედრისა);
- შემოსული ბიზნეს-გეგმების, პირველ ეტაპზე გაცხრილვა (შეფასების კრიტერიუმი - სტრუქტურულად სრულყოფილი და შინაარსობლივად გამართული ბიზნეს-გეგმა);
- კონკურსის მეორე ეტაპზე პრეზენტაციები კორპორაციის დირექტორებთან და დისკუსიები (შეფასების კრიტერიუმი - ბიზნეს-გეგმის პრეზენტაციის დროს გამართულ დისკუსიაში გამოვლენილი ორატორული შესაძლებლობები და ლოგიკური აზროვნება);
- სტაჟიორების შერჩევა (შესაძლებელია სხვადასხვა გუნდიდან);
- სტაჟიორებთან გაფორმდება 6-თვიანი ანაზღაურებადი კონტრაქტები. (ხელფასი დაახლოვებით1000 ლარი).